

საქართველო

ეროვნული
ნიშნით


საერთოული გაზეთი შაბათი 16 სექტემბერი 2006 №214 (2836)

ფასი 50 თეთრი

იბე, რა აშერ-იბერული! დაჩეხაფს დინამო კახეთს?



ბადრი კათილაძის ფოტო



ლევან უშენი

გლდანში „ამერი“ „ტორპედოს“ მასპინძლობს და მეექვსე ტურის სხვათაგან გამორჩეული მატჩიც ესაა. „ყვეთლები“ ქულათა მაქსიმუმით იწონებენ თავს, ქუთათურები კი — ამ ეტაპზე შესაძლებლობათა მაქსიმუმით. „ამერი“ ფავორიტია, მაგრამ არ უნდა დაივიწყოს, რომ ამ ჩემპიონატში „ტორპედოს“ კარს გასაღები ძნელად ერგება. ასევე საინტერესო უნდა გამოდგეს მეორეადგილოსან და გოლგაუშვებელ რუსთავის „ოლიმპის“ ბორჯომული სტუმრობა და არც თემურ მახარაძის დაბრუნებით შეგულიანებულ „ზეესტაფონს“ ელის ბათუმში იოლი გასეირნება. და კიდევ: შესაძლოა, ხვალ ეროვნულ ჩემპიონატში ჩეხური დებიუტი შედგეს. ცნობილი მწვრთნელი ლუშან უპრინი წუხელ ჩამოვიდა თბილისში, დღეს „დინამოსთან“ კონტრაქტს გააფორმებს და გამორიცხული არაა, თელავის „კახეთთან“ მატჩშიც გაუძღვეს გუნდს.

შერიგებუის და შურისგებუის კვირა ინგლისში არსენალი: კიდევ ერთი პასკა რუსეთელი ოლიგარქებისთვის

ძელების ჭახა-ჭუხი იქნება ხვალ პრემიერლიგაში: „მანჩესტერი“ „არსენალს“ მასპინძლობს, „ჩელსი“ — „ლივერპულს“. როგორც წესი, ეს გუნდები ცხრილში მუდამ ერთმანეთის გვერდით არიან, ამჯერად კი უცნაური ვითარებაა — „არსენალი“ 2 ქულით მეჩვიდმეტე ადგილზეა, „ლივერპული“ 4-ით მეათეზე. „მანჩესტერმა“ საუცხოოდ დაიწყო სეზონი და პრემიერლიგის თავში გამოიჭიმა მიჯრით ოთხი მოგებით. სწორედ ასეთ „გამხეცებულ“ მეტოქესთან სტუმრობა ელით არსენ ვენგერის დაბნეულ „მეთოფეებს“, რომელთაც საკუთარი თამაში ჯერაც ვერ უპოვიათ. „არსენალზე“ კი ისიც ვთქვათ, რომ რუსი მილიარდერები ზვერავენ. მათგან ყველაზე მეტად რუსეთში სიმდიდრით მეექვსე კაცი ოლეგ დერიბასკა აქტიურობს, რომელსაც რომან აბრამოვიჩთან ერთად დიდი საქმეები უტრიალებია. „ჩელსი“ შურისძიებას ეცდება „ლივერპულთან“, რომელმაც ზედ სეზონის წინ სუპერთასი მოუგო ლონდონელებს. რაფაელ ბენიტესს კი უთქვამს, მე და ფოზე მაურინიუს ბოლო ორი შეხვედრისას ერთმანეთისთვის ხელი არ ჩამოვიკრთმევია და ბუტიაობა კვირას, მატჩის შემდეგ უნდა დავასრულოთ.



ოლეგ დერიბასკა

ხანგრძლივმა ტრავმამ გოგა ბახოვიძე ფორმიდან ამოაგდო და საქართველოს ნაკრების უმნიშვნელოვანესი მატჩები გამოატოვებინა. მართალია, 2 სექტემბერს „ტვენტეს“ ნახევარმცველი დაშავებული არ გახლდათ, მაგრამ კლუბში თამაში იშვიათად უნებდა და პრაქტიკა აკლდა, კლაუს ტოპმოლერმა კი ასეთი ფეხბურთელის მინევეა საფრანგეთთან და უკრაინასთან მატჩებში ვერ გარისკა. გოგას ახლა ტრავმა არა, მაგრამ სხვა რამ ანუხებს — „ტვენტესთან“ ურთიერთობა...



ჯერ კლუბი, მერე ნაკრები...

გოგა ბახოვიძე: ტვენტეში ბაჰირუბელი აღარ მარ

— აქ დიდხანს გამჩერებელი აღარ ვარ, ჯერ ხომ უეცი ექიმები ჰყავს „ტვენტეს“ და ახლა კი მწვრთნელთანაც გამოუყვდა ურთიერთობა.
— მწვრთნელთან რატომ?
— ფარერებთან ნაკრებში რომ გამომიძახეს, წასვლის წინა დღეს ცხვირი ჩამოუშვა, ჯერ ტრავმა არ მოგირჩენიაო, მიზეზი გამოინახა. არადა, იმ დროს თითქმის საღსაღამათი ვიყავი და რამდენიმე ამხანაგურ მატჩშიც ვითამაშე. მან კი, კლუბს უნდა აყენებდე პირველ ადგილზე და არა ნაკრებსო. მე ასე არ შემძლია, მისთვის კი რატომღაც ძნელი გასაგებია, რომ ნაკრები უფრო ბევრს ნიშნავს.
— ალბათ ამიტომაც არ გათამაშებს ბოლო მატჩებში...
— ჩვენი მწვრთნელი ასე-დანაა მოსული. საერთოდ, ბოლმბიანი კაცია. წინა მატჩში არ მათამაშა, ცო-

ტა ავად ვიყავი და სათადარიგოთა სკამზე დამსვა. ვნახოთ, ამ ტურშიც თუ არ მათამაშა, დაველაპარაკებ და გავივებ, რაზეა დაბოლმით. შეიძლება არც მითხრას, მაგრამ ვხვდები, ნაკრებში წამოსვლის გამო ამომიჩემა.
— ესე იგი, „ტვენტედან“ წასვლას აპირებ. კონტრაქტი რამდენწლიანი გაქვს?
— კონტრაქტი პრობლემა არაა. ერთი წელი დამრჩა, მაგრამ მთავარია, ზამთრამდე ვითამაშო. ამ შემთხვევაში მსურველი კლუბები უთუოდ გამოჩნდებიან.
— ზამთარში ალბათ თავად „ტვენტეც“ იქნება დაინტერესებული შენი გაყიდვით...
— ასეა. მეც სწორედ ზამთარში მინდა „ტვენტედან“ წასვლა და ვნახოთ...
— სანაკრებო მატჩები კი გავ-

ცდა. კლაუს ტოპმოლერმა სათამაშო პრაქტიკის უქონლობის გამო არ გამოგიძახა?
— ალბათ და ეს გასაგებია. „ტვენტეში“ ერთს ვითამაშებდი — ხუთს ვტოვებდი... იმედია, გერმანიასთან და იტალიასთან შეხვედრებამდე კლუბში უფრო ხშირად თამაში მედირსება, შესაბამისად, ნაკრებში გამოძახების იმედიც მაქვს.
— საფრანგეთთან და უკრაინასთან თამაშებს ნახავდი...
— ფრანგებთან წაგებას უიღბლობას ვერ დავბარებ. კი, დიდი ემოცია იყო, გადაჭედული სტადიონის მხრივ მცირე უპირატესობაც გვექონდა, მაგრამ ეს არ აღმოჩნდა საკმარისი — საფრანგეთი ფანტასტიკური გუნდია, თამაშშიც საუცხოოდ წაუვიდა. აი, უკრაინასთან კი მოსაგები გვექონდა, იტალიაზე გავვწირა...
ილია ნანოზაშვილი



ბერდიევმა რევიზიონი სანახევროდ განტვირთა

„პაველ ხარჩიკი კარში კარგა ხანს არ ჩადგება — ასეთი განცხადება გააკეთა ყაზანის „რუბინის“ თავკაცმა ყურბან ბერდიევმა — ჩვენ დღეს ორი მთავარი მეკარე გვყავს: ალექსანდრ კოლინკო და ნუკრი რევიშვილი.“ ბერდიევმა ხარჩიკი რუსულ პრემიერლიგაში რამენსკოეს „სატურნთან“ 0:3 მარცხის შემდეგ მოიძულა. მას მერე „რუბინის“ კარში ერთმანეთს რევიშვილი და კოლინკო ენაცვლებიან.
„ორივე კარგი მეკარეა და შანსებიც თანაბარი აქვთ“ — განაცხადა ბერდიევმა, ვისაც რუსეთში ქართველების დამფასებელ მწვრთნელად იცნობენ.

ლუბა თალაგაძე

თვალ თვალდი

ასეთი ექსცენტრიკული მწვრთნელი ჰყავთ ქართველებსო, წერს ერთი უკრაინული ვებგვერდი და დასტურად ეს ფოტო მოაქვს: უფუას აკრბალვის მიუხედავად კლაუს ტოპმოლერი გიორგი დემეტრაძის ვოლისას მოედანზე შეიჭრა და ფეხბურთელებთან ერთად იხეიმა უკრაინასთან 2:1 დაწინაურება...



ლიბიე ყველა იტალია იუარა

მარჩელო ლიბი ჯერაც უმუშევარია, მას იტალიის ყველა ნაკრების კოორდინატორობა შესთავაზა იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პირველკაცმა გვილო როსიმ, თუმცა სინიორ მარჩელომ შორს დაიჭირა, კოორდინატორობა ჩემი სამუშაო არააო.
არადა, გვილო როსი ფედერაციაში საგანგებო საკოორდინაციო დეპარტამენტის შემოღებას აპირებდა. თავის მხრივ, მსოფლიოს ჩემპიონმა ლიბიმ „სკუადრა აძურას“ ამჟამინდელ თავკაც რობერტო დონადონის მხარი დაუჭირა: „რობერტოს ვიცნობ და დარწმუნებული ვარ, მშვენიერ ურთიერთობას ააწყობს ფეხბურთელებთან“.
და რატომაც შეეკითხნენ ლიბის დონადონზე, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს. ევროშესარჩევ ციკლში უნიათო სტარტის გამო დონადონის მოხსნაზე ლაპარაკი განშირდა, მაგრამ გვილო როსიმ იგი თანამდებობაზე დატოვა.
ერთმა ღმერთმა უწყის, შეერყევა თუ არა სკამი სინიორ რობერტოს II ოქტომბერს — ამ დღეს „სკუადრა“ საქართველოს ნაკრებს სტუმრობს.



ილია ნანოზაშვილი

ჰოლანდია
ერედივიზიონი. IV ტური
ვალვაიკი 1:0 დან ჰააბი
II დივიზიონი. VI ტური
კამპური 1:1 ბრაფუსსაბი
იფანი 1:1 იგლსი
დან ზუსი 2:1 მასტრინსტი
დორდრეხტი 2:1 ეინდჰოვანი
ალბიმა 2:0 აჰალდორნი
ვომლე 1:1 ვოლენდაგი
სიტარდი 0:2 ვანლო
ჰელმონდი 1:7 ვეინდაგი
როოინდალი 2:0 ჰაარლეგი
ტელსტარი 4:0 ოსი

საფრანგეთი
II დივიზიონი
VIII ტურში
აიარო 2:1 რიფსი
აიფანი 1:1 ლიგურნი
შატორუ 2:1 ბენიონი
კრემტი 0:2 სტრასბური
დიჟონი 0:3 მეცი
ლე ავრი 1:1 ბრანეოლი
ნიორი 2:2 კაინი
ტურსი 2:0 ისტრი
მონელი 4:0 ბასტია

ირლანდია
პრემიერლიგა. XXIV ტური
ბარი 0:2 ლონგფორდი
კოკი 1:0 ზოჰიანიანი
სანტ პატრიკსი 1:3 შალზური
შოტინფორდი 0:0 დუბლინი

სლოვაკეთი
I ლიგა. X ტური
სენეცი 1:0 ტრენინი

თურქეთი
სუპერლიგა
VI ტური
ბენილიკი 0:5 ბანისა

ინგლისი
ჩემპიონატი. VIII ტური
ჰალი 2:1 უესდო

გერმანია
ბუნდესლიგა. IV ტური
ვოლფსბურგი 1:2 ჰანოვერი
II ბუნდესლიგა. IV ტური
კიოლნი 4:1 ბრაუნშვაიგი
ესანი 4:4 პარლ ტაინი
უნტერჰაინენი 0:1 აუგსბურგი
ჩრდილოეთი რემიონალლიგა
VII ტური
ზანაჰ ბაული 2:0 ლევიკოუანი (მ)
სამსრემი რემიონალლიგა
VII ტური
ჰოფენჰაიმი 1:1 შტუტგარტი (მ)
აალენი 2:2 პარლსრუე (მ)
ელჰინგსბერგი 2:1 ლაუტბარნი (მ)

ავსტრია
I დივიზიონი. VIII ტური
აუსტრია (ლ) 2:1 კააფინგარგი
აუსტრია (მ) 3:0 ბრატკორნი
ჰარტბერგი 0:1 შვანენშტადტი
ლინცერი 6:1 ადმირა
ლეოპანი 1:3 ლუსტანაუ
პარდორფი 1:0 კერნთანი

უგანდა
ჩემპიონატი. VII ტური
ლოზანა 1:1 კიანსო
იუვენტუსი 0:1 კრინსი

იტალია
სერია B. II ტური
ალკინოლეფი 0:0 მონდანი
ბარი 1:1 ბრეშა
სერია C/B. III ტური
სალერნიტანა 4:2 ბალიოლი

პოლონეთი
I ლიგა. VII ტური
კრაკოვია 1:1 ლოქი

რატომ უნდა დაკლას ბოლქვაძემ სხვარი

ამერიკის ფსიქოლოგიურ მხარდაჭერაში იზრუნა ჰერტამ

ნლეულს ჯერაც ქულადაუკარგავი თბილისის „ამერის“ გამთამაშებლის დავით ბოლქვაძის თამაში ერთხელ მაინც თუ გინახავთ, დამეთანხმებით, ის ახლა გაცილებით ეფექტური, მიზანდასახული და სასარგებლოა გუნდისთვის. მართალია, მას ოფიციალური ამერიული გოლი ჯერ კიდევ არ გაუტანია, მაგრამ იმდენი საგოლე პასი მიითვალა...
თავად დაპირდა ბოლქვაძე კი ასეთ სახეცვლილებას, პირველ ყოვლისა, მთლიანად გუნდის სახეცვლილებას უკავშირებს და, როცა ვკითხეთ, რით ახსნი ასეთ წინსვლას, გვიპასუხა...



დავით ბოლქვაძე

— არა მხოლოდ მე, ამ სეზონში მთლიანად „ამერი“ თამაშობს გაცილებით უკეთ და შთამბეჭდავად, ვიდრე ადრე. ხოლო როცა გუნდი ასე კარგად გამოიყურება, თავადაც კარგად ვითამაშობ. დიხს, ვფიქრობ, წლეულს მოუვამტე, უფრო თავისუფლად ვარ, რაც ალბათ თამაშზეც აისახება.
— თავისუფლად ვარო, თქვი და, ადრე შებოჭილი იყავი?
— არც უმაგისობაა. იყო პერიოდი, როცა შებოჭილი ვიყავი. ეტყობა, ახალ გუნდში ადაპტაცია გამოიჭირდა და შესაძლებლობების ბოლომდე გამოვლენა ახლა დავიწყე. ჯერ სულ ხუთი ტური ვითამაშეთ და ვფიქრობ, ნელ-ნელა გუნდიც მოუმატებს და მეც.
— შედეგის გარდა, კიდევ რაში გამოიხატება „ამერისა“ და ბოლქვაძის წინსვლა?
— ვფიქრობ, ახლა ადრინდელზე

უფრო მეტხანს ვაკონტროლებთ ბურთს და აქედან გამომდინარე, თამაშიც ჩვენ მიგვყავს. თანაც „ჰერტასთან“ მატჩების შემდეგ ფსიქოლოგიური განწყობა გაგვიუმჯობესდა, ამ ორმა მატჩმა გარკვეული გამოცდილებაც შეგვმატა. მოკლედ, წლეულს უკეთ ვართ მომზადებული და ეს შედეგსაც დაეტყოს და თამაშის ხარისხსაც.
— სიტყვამ მოიტანა და, „ჰერტასთან“ დაპირისპირება გავიხსენოთ. ალაღად თქვი, როცა მეტოქედ „ჰერტა“ გერგოთ, პირველად რა გაიფიქრე?
— მაშინ რა გავიფიქრე, არ მახსოვს, მაგრამ პირველი მატჩის დაწყებამდე ბაშთურქს, ფრიდრიხსა და სხვა გერმანელებს რომ შევხვდეთ, ვთქვით, ამით როგორ უნდა ვეთამაშოთ, როგორ უნდა მოუგოთო. მაგრამ დაიწყა მატჩი, გავიდა 10-15 წუთი და საკუთარი ძალ-

ების რწმენა შეგვემატა, გერმანელებიც ხომ ჩვეულებრივი ადამიანები არიან?!
— და თბილისურ საპასუხო შეხვედრას უფრო თავდაჯერებულნი შეხვდით...
— თავდაჯერება ერთია და, მეორესაც ვიტყვი: იმ მატჩებს რომ ვიხსენებ, ვფიქრობ, „ჰერტასთან“ არ გაგვიმართლა, ჩვენ შეგვეძლო გერმანელების დამარცხება და მომდევნო ეტაპზე გასვლა.
— გაისადაც ალბათ დაახლოებით „ჰერტას“ დონის მეტოქე შეხვდებით...
— და უკვე სხვა განწყობა გვექნება. ფეხბურთის ისეთივე ადამიანები თამაშობენ, როგორებიც თავად ვართ, ერთადერთი სხვაობა ეროვნებაა. ის თუ გერმანელია, მე ქართველი ვარ. ქართველებს კი, თუ მოვიხილავთ, ბევრი შეგვიძლია. მხოლოდ იმიტომ უნდა წავაგო, რომ

ის გერმანელია?!
— ეროვნულ ჩემპიონატში ხუთი ტური ჩათავდა. რას იტყვი, „ამერის“ გარდა კიდევ რომელ გუნდებს ემჩნევთ პროგრესი?
— ვერაფერს ვიტყვი, ყველა გუნდის თამაში არ მინახავს და მათ შესაძლებლობებზე არაფერი ვიცი. ისე კი, ამბობენ, რუსთავის „ოლიმპია“ კარგი და ძლიერი გუნდია. ფავორიტთან ჯერ მხოლოდ „დინამოს“ ვეთამაშეთ, მაგრამ ამ გუნდს დიდი წინსვლა ვერ შევამჩნიე. თუმცა რა მნიშვნელობა აქვს, რომელმა გუნდმა როგორ მოუმატა, მხოლოდ „ამერი“ მაინტერესებს და მთავარია, ჩვენმა გუნდმა ითამაშოს ისე, როგორც ყველას გვსურს. „ამერის“ მიზანი მისი თამაშიდანაც ჩანს — ჩემპიონობა და, რა თქმა უნდა, ისევე თასი.
— ამერიული გოლი კი ჯერაც არ გაგიტანია...
— რა ვქნა, ცხვარს ხომ არ შევწირავ?! მთავარია, პირველი გავიტანო, ნავსი გავტეხო და მერე ალბათ ამ საქმესაც გამოვასწორებ. ისე, მაინცდამაინც ბევრი გოლი არც ადრე გამქონდა, მეტწილად საგოლე პასებს ვაკეთებდი. არა უშავს, ხუთ-ექვს გოლს ამ სეზონში ალბათ მაინც გავიტან.
— კვირას ქუთაისის „ტორპედოსთან“ გაქვთ მნიშვნელოვანი მატჩი. შენ კი ვერ ითამაშებ...
— სამწუხაროდ, ასეა... ფეხის ტრავმა მაქვს და რამდენიმე დღეა, ვისვენებ. ისე, სერიოზული არაფერია.
— „ბორჯომთან“ წინა ტურის მატჩისას დაშავდი?
— კოჭებში იმ თამაშის დროსაც ძალიან ბევრი მომხვდა, მაგრამ უხეშობდნენ, მაგრამ ფეხი მაშინ კი არა, ვარჯიშზე ვიტყვინე.
— მომავალში ბოლქვაძისგან რას ველოდოთ?
— კიდევ უფრო კარგ თამაშს ბოლქვაძისგანაც და მთლიანად „ამერისგანაც“.



ჰაინც ტომპილიერი

დორთი ოინა იოს აზერბაიჯანმა ორი უარი უამოთვალა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციამ გუმინ უარი განაცხადა 19 და 17-წლამდელთა შორის ამხანაგური მატჩების გამართვის თაობაზე. ორივე დღის წინ გაცნობით, რომ 19 და 21 სექტემბერს ბაქოში ქართველ 19-წლამდელთა აზერბაიჯანელ თანატოლებთან სპარინგები უნდა გაემართათ — მხარეებს შორის ყველა დეტალი შეთანხმებული იყო და ჰაინც ტომპილიერმა ბაქოში წასაყვანი ფეხბურთელების სიაც შეადგინა, თუმცა ჩვენმა მეზობლებმა ბოლოწამს გადაიფიქრეს. მათი თქმით, 22-29 სექტემბერს ბაქოში 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი უნდა ჩატარდეს და ამის გამო ქართველებთან ამხანაგური მატჩები ჩაიშალა.
შეგახსენებთ: 19-წლამდელთა გარდა უნდა გამართულიყო 17-წლამდელთა მატჩებიც, ოღონდ თბილისში, 4 და 7 ოქტომბერს.
კახა შალაგზირიძე

დინამოს ათიანი დუზან უკრინი დღეს კონტრაქტს გააფორმებს

წუხელ თბილისში „დინამოს“ ახალი მწვრთნელი, ჩეხი დუზან უკრინი ჩამოვიდა და, სავარაუდოდ, ორი წლით აქვე დარჩება.
„დინამოს“ ხელმძღვანელობასა და მწვრთნელს შორის მოსალაპარაკებულ-შესათანხმებელი არც არაფერია, კონტრაქტის ყველა წერილობით-მსხვილმანი გარკვეულია და დღეს დიდძალ ბაზაზე ეს ამბავი ოფიციალურად გამოცხადდება. ახალი მწვრთნელის წარდგენა დინამოელებმა სწორედ სადღეისოდ დაგეგმეს, რასაც, ალბათ, პრესკონფერენციასაც მიაყოლებენ.
თბილისის „დინამოს“ კი ის საქმე, რაც წინა სეზონის დასრულების-თანავე დაიწყო, უკვე შეგვიძლია, დამთავრებულად ჩავუთვალოთ — თბილისელები ანდრე ჩერნიშოვის დატოვების შემდეგ ახალ და სახელოვან უცხოელს ეძებდნენ და დღეის გადასახედიდან, შეიძლება ითქვას, ათიანშიც გარტყეს. დუზან უკრინის სამწვრთნელო კარიერა და წარმატებები საფუძველს იძლევა ვთქვათ, რომ „დინამომ“ მაღალი დონის სპეციალისტს მიაგნო.
ხვალ კი უკრინის დებიუტს ველით — „დინამო“ „კახეთს“ მასპინძლობს. თუმცა გადაჭრით ვერ ვიტყვით, რომ უკრინი ხვალვე გაუძღვება „დინამოს“. კახელებთან გუნდს ალბათ ისევე კაჭარავა უხელმძღვანელებს, მერე კი...

კოზა ინასარიძე





ამერიის მამაკაცთა მიზანმიმართული იმპროვიზაცია



ტურის მთავარ მატჩში ჩემპიონატის ლიდერი „ამერი“ და მეოთხეადგილოსანი ქუთაისის „ტორპედო“ შეიჯარება

„ამერი“, „ოლიმპი“, „ვიტ ჯორჯია“, „დინამო“, „ზესტაფონი“ — მართალია, ჩემპიონატი ახლა ხურდება, მაგრამ იმის თქმა კი შეუძლებელია, რომ ამ ხურდის შორის გადაწყდება ჩემპიონობის ბედი. თითოეულს აქვს თავისი პლუს-მინუსები. მაგალითად, „ვიტ ჯორჯიას“ შეწყობა-შეთამაშება, „დინამოს“ დუ-

შან უჭირნი, „ამერს“ გამართული თამაში... ამიტომაც გვგონია, რომ ეს ჩემპიონატი თავისი დაძაბულობით აჯობებს ადრინდელს. ვინ იცის, ზამთარში ათასნაირად აირიოს შემადგენლობა, ზოგი გაძლიერდეს, ზოგიც ფეხბურთელებისგან დაიკალოს, მაგრამ ამ ეტაპზე ეს ხუთეული გამორჩეულია...

პკირას მეექვსე ტურია და მთავარი მატჩი გლდანში გველის, სადაც გიორგი ჩხარაძის „ამერი“ რევაზ ძოძუაშვილის „ტორპედოსთან“ შეეცდება ქულადუკარგავი სერიის გაგრძელებას. ახლა კი ვიკითხოთ, ქუთათურთაგან რამდენ ფეხბურთელს ჩამოთვლით, ეროვნულ ჩემპიონატში გამოცდილი რომ ეთქმის? მაქსიმუმ სამს. არადა, ცხრილი ჯიუტია — „ტორპედომ“ ხუთ თამაშში ოდენ ერთი გოლი გაუშვა, ჯერაც დაუმარცხებელია და „დინამოსაც“ კი სძლია თბილისში. „ამერს“ ყველაზე მეტი პრობლემა, ალბათ, დავით გამეზარდაშვილისგან შეხედება, რომელიც დაცვაშიც მაგრად დგას და შეტევებშიც ფხინად ერთვება. გლდანელები „ქალა-

ლდზე“ აშკარად ფავორიტები არიან, მაგრამ სახელს გამართლება უნდა — კარგ ფორმაში არიან სულიკო დავითაშვილი, დავით ბოლქვაძე, გიორგი დეკანოზიძე და, შეიძლება ითქვას, ოთხწლიან ისტორიაში „ამერი“ ასეთი ღონიერი არ ყოფილა. კოლა, ენაზო... კარმუხებელი რუსთავეის „ოლიმპი“, „ბორჯომს“ სტუმრობს და სულაც არ გაგვიკვირდება, მშრალ სერიას თუ გააგრძელებს. კი, შეიძლება არგენტინელი, ესაო, ისაო, მაგრამ კურორტელებს სასიკეთო გარდასახვისა ვერ არაფერი ეტყობათ. ეს შარშან იყო, ბორჯომში მოგება ძალიან რომ ჭირდა, წლეულს კი კურორტიდან თბილისის „მერანმაც“ კი წაიღო სამი ქულა.

ყველაზე ადვილად პროგნოზირებადი თამაში „მიხეილ მესხეა“: თბილისის „დინამო“ ცხრილის ფსკერზე დაძირულ „კახეთს“ მასპინძლობს და ისევ იქვე რომ დატოვებს, თქმა არ უნდა. ბოლო დროს ჩვეული ფორმა დაიბრუნა სანდრო იაშვილმა, ლამის ყველა მატჩში გოლი გააქვს და მერე რა, რომ მშობლიური ქალაქის გუნდს ეთამაშება... „მერანს“ ექვსი ქულა მოუხვეჭია და ექვსივე სტუმრად. ასე თუ ვიმსჯელებთ, გამოდის, დებიუტანტებს მცხეთაშიც აქვთ შანსი „ვიტ ჯორჯიასთან“. ამაში კი ძალიანაც გვეპარება ეჭვი, რადგან ნესტორ მუხლაძის გუნდი სამქულიანების დამრიგებელს სულაც არ ჰგავს — პი-

| | | |
|--|----------------------------|--|
| | ბორჯომი — ოლიმპი | |
| მსაჯები: დ. ხარბონაშვილი; მ. ელიკაშვილი, კ. გუდურაშვილი; ო. ხეცაძე | | |
| | ვიტ ჯორჯია — მერანი | |
| მსაჯები: კ. ჭაჭუა; ი. მაჩიტაძე, ი. კაკაბაძე; ლ. ფანიაშვილი | | |
| | ჩხურა — ლოკომოტივი | |
| მსაჯები: გ. ვადაჭკორია; ზ. ჯვარიძე, მ. ლომსაძე; ს. სპიციანი | | |
| | ბათუმი — ზესტაფონი | |
| მსაჯები: ჯ. ბუიშვილი; ზ. ხუციშვილი, დ. გოგოლაძე; გ. დოგრაშვილი | | |
| | დინამო — კახეთი | |
| მსაჯები: დ. სანაია; გ. ჩიგოციძე, ზ. მენთეშვილი; მ. მაისურაძე | | |
| | დილა — სიონი | |
| მსაჯები: ლ. სილაგავა; შ. ქუხილავა, ი. უკლება; ტ. არაბული | | |
| | ამერი — ტორპედო | |
| მსაჯები: ლ. კვარაცხელია; დ. კურტანიძე, გ. ყრუაშვილი; მ. ურუშაძე | | |

რით, „ვიტ ჯორჯია“ ჩემპიონატის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტია. იყო დრო, გორში თამაში სტუმარს ისე უჭირდა, როგორც ახლა ბოლნისში. დღეს კი „დილა“ — „სიონი“ სწორედ გორში ხვდებიან ერთმანეთს და არცთუ იოლ გასეირნებას უნდა ელოდნენ ქვემოქართლები — „დილა“ რომ არც მთლად დაჩაჩანაკებულა, ეს წინა კვირას ქუთაისშიც გამოჩნდა, სადაც წაგების მიუხედავად, ბლომად მომენტი შექმნა. გადავინაცვლოთ დასავლეთში: საჩხერეში „ჩხურა“ ახალგაზრდულ „ლოკომოტივს“ დაუხვედბა, ორივე გუნდს 4-4 ქულა აქვს და მოგებაზე უარს, ცხადია, არ იტყვიან, მაგრამ მასპინძლებს საამისოდ მეტი შანსი აქვთ — შედარებით გამოცდილი ფეხბურთელები ჰყავთ. ეგაა, შეტევის ბოლო ფაზაში ძალიან მოიკოჭლებენ. წვიმამ ბათუმში საზაფხულო სეზონი შეაჩერა და არც „ზესტაფონი“ აპირებს ზღვისპირეთში დასასვენებლად ჩასვლას. კარგი თამაში უნდა გამოვიდეს, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ „ბათუმი“ ბოლო მატჩებში ფერზე მოვიდა. „ზესტაფონიც“ გოლების იშტაზეა, თემურ მახარაძის დაბრუნების შემდეგ გუნდის შედეგიანობამ აშკარად იმატა...

ნი“ აპირებს ზღვისპირეთში დასასვენებლად ჩასვლას. კარგი თამაში უნდა გამოვიდეს, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ „ბათუმი“ ბოლო მატჩებში ფერზე მოვიდა. „ზესტაფონიც“ გოლების იშტაზეა, თემურ მახარაძის დაბრუნების შემდეგ გუნდის შედეგიანობამ აშკარად იმატა...

ილია ნანოგაშვილი

| | | | | | | |
|------------|---|---|---|---|------|----|
| ამერი | 5 | 5 | 0 | 0 | 11:1 | 15 |
| ოლიმპი | 5 | 4 | 1 | 0 | 10:0 | 13 |
| ვიტ ჯორჯია | 5 | 4 | 1 | 0 | 12:4 | 13 |
| ტორპედო | 5 | 3 | 2 | 0 | 5:1 | 11 |
| ზესტაფონი | 5 | 3 | 1 | 1 | 7:3 | 10 |
| დინამო | 5 | 3 | 0 | 2 | 10:4 | 9 |
| სიონი | 5 | 2 | 0 | 3 | 6:6 | 6 |
| მერანი | 5 | 2 | 0 | 3 | 6:10 | 6 |
| ბათუმი | 5 | 1 | 1 | 3 | 5:6 | 4 |
| ბორჯომი | 5 | 1 | 1 | 3 | 7:10 | 4 |
| ლოკომოტივი | 5 | 1 | 1 | 3 | 4:8 | 4 |
| ჩხურა | 5 | 1 | 1 | 3 | 3:7 | 4 |
| დილა | 5 | 0 | 1 | 4 | 2:15 | 1 |
| კახეთი | 5 | 0 | 0 | 5 | 4:17 | 0 |

თქვენი ინტერვიუ


მალხაზ ასათიანთან

თქვენთვის ამ კარგად ნაცნობი რუბრიკის მორიგი რესპონდენტი საქართველოს ნაკრებისა და მოსკოვის „ლოკომოტივის“ ერთ-ერთი ლიდერი მალხაზ ასათიანი იქნება. მოგვანოდეთ კითხვები და „თქვენი ინტერვიუ“ არაუგვიანეს 1 ოქტომბრამდე გამოქვეყნდება. იაქტიურეთ, მალხაზ ასათიანი ელის თქვენს კითხვებს...



მოგვმართეთ! ტელეფონი: 93 16 08; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net

თფიცარი ბრემა ტერნერის თმის უმეღბოში ჩანაწერები



რაიმონ ლომანია:

გულისტყვივით მინდა აღვნიშნო, რომ მართლა ნიჭიერი ახალგაზრდა მთელ ჩემპიონატზე მხოლოდ ერთი-ორი თუ შევამჩნიე

ხარლოს ალბარტო ჰარნირა:

ჩვენ საკუთარი თავი ფავორიტებად არ გამოგვიცხადებია. ეს ბრაზილიის გარედან მოსული აზრი იყო

ლიოზ და ოლივირა გონსალვამი:

ანგოლელებისთვის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპში მონაწილეობა მეტ-ნაკლებად გამარჯვებას უტოლდება

ლიოზ ფალტია სკოლარი:

მართალი რომ გითხრათ, გამარჯვებულსა და დანარჩენებს შორის დიდი განსხვავება ვერ დავინახე

დარტანიანი და სამი ბრაზილიელი

უკვე რამდენიმე დღეა, ფიფასა და უეფას მიერ ბერლინში მოწყობილ სიმპოზიუმს ვახსენებთ, მის მასალებს ვეცნობით და ვაცნობთ. ეს ბუნებრივად არის, ვინაიდან, როგორც იცით, სიმპოზიუმში მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე ნაკრებთა მწვრთნელებიც მონაწილეობდნენ და ჩველი მუნდიალსა თუ სხვა მნიშვნელოვან საფეხბურთო საკითხებზე თავიანთ მოსაზრებებს გამოთქვამდნენ. ქვემოთ ვთავაზობთ უეფას მელა-ოფიცრის გრემ ტერნერის ჩანაწერებს ოთხ მწვრთნელთან: საფრანგეთის თავაკ რაიმონ ლომანეტთან, ორ ბრაზილიელთან, კარლოს ალბერტო პარეირასთან, პორტუგალიის ეროვნული გუნდის ხელმძღვანელ ლუიშ ფელაო სკოლარისთან და ანგოლის ნაკრების ნახევარდარბაზიულ შეფ ლუიშ დე ოლივეირა გონსალვეშთან. გრემ ტერნერს მათი მოსაზრებები ციტატების ფორმით აქვს ჩამოწერილი და ჩვენც ყველაფერს უცვლელად ვთავაზობთ

ნახავდ ყოველ დღე ათასებს უნდოდათ მოსვლა.

სკოლარი: მართალი რომ გითხრათ, გამარჯვებულსა და დანარჩენებს შორის დიდი განსხვავება ვერ დავინახე, მაგრამ შეჯიბრება შეჯიბრება და ფინალში მხოლოდ ორი გავიდა. ორი წლის წინ პორტუგალიის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ფინალი წააგო, წლეულს, მსოფლიოს ჩემპიონატზე მეოთხენი ვიყავით, საბერძნეთი კი ოცდამეორე მდებარე ვერ მოხვდა. ეს მეოთხე ადგილი ჩვენთვის ბევრს ნიშნავდა.

გონსალვეში: ანგოლელებისთვის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპში მონაწილეობა მეტ-ნაკლებად გამარჯვებას უტოლდება. ჩვენ მსოფლიო ფეხბურთის ელიტაში მოვხვდით და ვნახეთ, რას ნიშნავს მუნდიალი. ჩემთვის, როგორც მწვრთნელისთვის, ეს ასევე ძალიან მნიშვნელოვანი გახლდათ. ჩემი ფეხბურთელების უმეტესობა ხომ სხვადასხვა ქვეყნის მეორე, მესამე და მეოთხე დივიზიონებში თამაშობს და ანგოლელები მაინცდამაინც ვერც ორგანიზებულით დაიკვირნან. მაგრამ ხალხისა და მთავრობის დიდი მხარდაჭერით წარმატებას მივადმიწვით.

მსოფლიოს ჩემპიონატის დონეზა

პარეირა: ორგანიზაციის თვალსაზრისით, ასეთი მუნდიალი არასდროს ყოფილა და უკეთესიც ვეღარ წარმოიდგენია. რაც შეეხება ფეხბურთს, აქ გათბრწყნეს გუნდებმა და არა ფეხბურთელებმა, გუნდების დონეს შორის კი დიდი განსხვავება არ იყო.

ლომანია: ჩემპიონატის წინ ფიფას მოწადინებთ გამოინახა დრო, რომლითაც გუნდებმა ისარგებლეს, ფეხბურთელებმა ძალ-ღონე აღიდგინეს მზადების პირველი კვირის განმავლობაში ბურთს საერთოდ არ შეეხებოვართ. ბუნებრივად ვიყავი, რომ ჩემი ფეხბურთელების უმეტესობა ევროპის სტილიდან შედარებით ადრე გამოვარდა.

ბარამოზა

პარეირა: ჩვენ პოპ-ვარსკვლავებით ვვხვდებოდნენ, მაგრამ ასეთ რამეს შენზე არ უნდა გამარჯვებინო. ეს გირჩევს კონცენტრაციას, ყოველდღე ათასობით მაყურებლის გაძლება ძალიან ძნელია ბრაზილიის ნაკრების ფეხბურთელები ტურისტების მისაზიდად ჩინებული საშუალება გამოდგა.

გონსალვეში: ჩვენ ეს პრობლემა ნამდვილად არ გექნა. ჩვენი ქომაგები ძალიან შორს იყვნენ, თუმცა გერმანულ კლიმატთან შეგუება კი მოგვიხდა და საკვებიც შევზღუდეთ.

სკოლარი: პორტუგალიაშივე ყველაფერი კარგად გექონდა მოწყობილი. ფეხბურთის ასოციაციამ საწვრთნელი ცენტრებიც ძალიან დაკვირვებით შეგვიჩინა. რაც შეეხება ვარჯიშის სანახავად მოსულ ათასებს, ასეთი რამ ჩვენც გადაგვხდა, თუმცა ბრაზილიის ნამდვილად ვერ შევადარებ. ჩვენ კონცენტრირებული ვარჯიშის საშუალება გვექონდა.

ჩემპიონატის დადაბით და უარყოფით მხარეებზე

ლომანია: კარგი იყო, რომ ვეტრანებმა თავიანთი ოსტატობა ერთხელაც დაგვანახეს და დაგვიმტკიცეს, რომ დროის გასვლის მიუხედავად, ისინი ჩინებულ ფეხბურთელებად რჩებიან, მაგრამ ამასთან გულისტყვივით მინდა აღვნიშნო, რომ მართლა ნიჭიერი ახალგაზრდა მთელ ჩემპიონატზე მხოლოდ ერთი-ორი თუ შევამჩნიე.

გონსალვეში: იმედი გამიცრუა ბრაზილიამ. აფრიკელთაგან კოტ დივუარისგან ველოდი მეტს, თუმცა შავი კონტინენტი მაინც ამკარად ვითარდება. საფრანგეთში, გერმანიაში თუ შვეიცარიაში უამრავი აფრიკელი ფეხბურთელი თამაშობს. ნელ-ნელა ვითარდება ინფრასტრუქტურაც და ყველაფერი ერთად მომავალში წარმატებას მოგვიტანს.

პარეირა: უნაკლო მუნდიალი იყო, რომელზეც უნაკლო ატმოსფერო სუფევდა. სადაც კი მივლიოდით, თავს სასურველ სტუმრებად ვგრძობდით, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩემპიონატზე ცოტა გოლი გავიდა. იმედი მაქვს, ეს ტენდენციის მანიშნებელი არ არის. ყველაზე დიდი იმედგაცრუება ის იყო, რომ ბრაზილია ფინალში ვერ გავიდა, მაგრამ ამის გამოსწორება 2010 წელს შეიძლება. ამას დარწმუნებით იმიტომ ვამბობ, რომ ვიცი, ბრაზილიაში უამრავი ნიჭიერი ახალგაზრდა მოდის.

სკოლარი: გარემო და სტუმრების მასშტაბი ისეთი იყო, კაცი უკეთესს ვერაფერს ინატრებდი. ძალიან კარგი ჩემპიონატი იყო ჩვენთვის, მწვრთნელებისთვისაც, რადგან ჩვენ დავმეგობრდით. პორტუგალიაზე კი მოგასხენებთ, კმაყოფილი ვართ და ვიმედოვნებთ, რომ პროგრესი არ შეწყდება.

ბაბუნა კვლია

თავიანთი გუნდების შადავის შესახებ

ლომანია: მსოფლიოს ჩემპიონი იტალია გახდა, შესაბამისად, ჩვენ ბოლოწამს ხელცარიელნი დავრჩით. საკუთარ თავს სულ იმას ვუჩინებდით, რომ ჩემპიონატზე 9 ივლისამდე შეგვეძლო დარჩენა და ეს მართლაც ასე მოხდა. ჩემთვის უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელებისთვის თვითრწმენის ჩანერგვა იყო. ოღონდ ეს მხოლოდ ტოგოსთან მატჩის შემდეგ ვახსენებ შესაძლებელი.

პარეირა: ბრაზილია მეტად ემოციური ხალხის ქვეყანაა. თუ არ გაიმარჯვე, ესე იგი, არაფრად ვარგოდა — ასე სწამთ იქ. მერედა, პირადად ჩვენ საკუთარი თავი ფავორიტებად არ გამოგვიცხადებია. ეს ბრაზილიის გარედან მოსული აზრი იყო. საერთოდ, ძალიან ბევრმა გარეშე საკითხმა და მოვლენამ გადაგვთელა. თუნდაც ის რადღირს, რომ ჩვენი ვარჯიშების სა-

გულშემატკივართან მუნდიალის წიგნი მივიღე

როგორც ჩანს, საქართველო მართლა უბრუნდება ნორმალური ცხოვრების კალაპოტს: მსოფლიოს ჩემპიონატის დამთავრებიდან ორ თვეში ჯერ კიდევ ემოციამეუმრალ გულშემატკივართან მსოფლიოს ჩემპიონატის შესახებ წიგნი მივიღე. წიგნი ჰქვია: „თვესასწაული ყოველდღე“, მისი ავტორია საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივანი, გამოცდილი კალმოსანი, ბატონი ემზარ ზენაიშვილი. საუცხოო ხარისხით გამოცემულ თითქმის ასევეგრიან წიგნში, გარდა მუნდიალის დამსწრე ადამიანისგან ამბავთა სასიამოვნო თხრობისა, თავმოყრილია სტატისტიკა, ცხრილები და სხვა მრავალი საინტერესო მონაცემი. ბუნებრივია, წიგნი ილუსტრირებულია და ყოველმხრივ მზადაა, ფეხბურთის მოყვარული მისთვის სანატრელ სამყაროში დააბრუნოს.



პორტუგალია ფიფას რისხვას გადაუჩრა

პორტუგალიური კლუბები გადარჩნენ — ფიფა საგანგებო კომიტეტის მონიშვნასა და მათი ევროშეჯიბრებიდან მოკვეთას აპირებდა, მაგრამ გადაიფიქრა.

რა შემთხვევაში მიმართავს მსოფლიო ფეხბურთის მმართველი ორგანიზაცია ასეთ უკიდურეს ზომას? მაშინ, როდესაც ესა თუ ის საფეხბურთო ორგანიზაცია საფეხბურთო საქმეში სამოქალაქო ძალებს რთავს. ამჯერად რისხვა „უილ ვისენტემ“ გამოიწვია. ეს კლუბი საკუთარი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ მეორე დივიზიონში დააქვეითა, რის წინააღმდეგაც მან სასამართლოში გალაშქრება გადაწყვიტა და ფიფას რეაქციამაც არ დაავიანა, პორტუგალიელებს 14 სექტემბრამდე მისცა დრო.

„უილ ვისენტეს“ მეორე დივიზიონში დაქვეითების მიზეზი, მოედანზე ისეთი ფეხბურთელის გაყვანა გახლდათ, რომლის გაყვანის უფლებაც არ ჰქონდა.

ფიფა ისევ პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციამ დაამშვიდა. მან შეეცადა მოახინაღრე შეფხვას ალუოქვა, რომ თავის საქმეებში ჩარევას არ დაუშვებს და ჩემპიონატს ყოველგვარი არევის გარეშე განაგრძობს.

აკაუნა კედია



გულგატყნული კეპოლის დარდი

არგენტინელი ფორვარდი ერნან კრესპო წუხს, რომ მას ქომავლები სათანადო პატივს არ სცემენ. 31 წლის ფეხბურთელს ეროვნული ნაკრების მაისურით 59-ჯერ უთამაშია და 32 გოლი აქვს გატანილი, თუმცა გულშემატყვიართა გარკვეული ნაწილი მის ნაცვლად ძირითად შემადგენლობაში კარლოს ტევესის ან ლიონელ მესის დაყენებას ითხოვს. „ზოგჯერ ძალიან მტკივნეულია, როცა არ

გაფასებენ. სადაც მითამაშია, ყველგან ბევრი გოლი გამიტანია. არგენტინის ისტორიაში მესამე გოლეადორი ვარ და შესარჩევ ეტაპზე ბომბარდირი გავხდი. ვერც რონალდომ, ვერც ივან სამორანომ და ვერც მარსელო სალასმა ჩემზე მეტი ვერ გაიტანეს. ჩემი კარიერით ვამაყობ, მაგრამ ზშირად მიჩნდება გრძნობა, რომ სათანადოდ არ მაფასებენ და პატივს არ მცემენ. მუნდიალის დროს ძალიან მწყინდა, როცა ხალხი ძირითად შემადგენლობაში ჩემს ნაცვლად სხვა ფეხბურთელების დაყენებას ითხოვდა. ყველას შეუძლია თავისი აზრი ჰქონდეს, მაგრამ სტატიკისტიკას ვერაფერს უზამენ, რაც ჩემს სასარგებლოდ მეტყველებს“ — განაცხადა მილანის „ინტერის“ თავდამსხმელმა.

კრესპომ კომენტარი გააკეთა ზუან რომან რიკელმეს ნაკრებიდან წასვლაზეც. მოგესვენებათ, 28 წლის პლეიმეიკერმა ეს ახლახან გადაწყვიტა და ძირითად მიზეზად დედის ავადმყოფობა დაასახელა.

„ეს იტალიელი ჟურნალისტიკისგან გავიგე და გაოცებული დავრჩი, რადგან რიკელმე ვერ ახალგაზრდაა, თანაც ახალი მწვრთნელის, ალფიო ბასილეს ხელში ჩატარებულ პირველ მატჩში იგი კაპიტანი გახლდათ. მას დიდ პატივს ვცემ, როგორც პიროვნებას და პროფესიონალს. თუ მითავარი მიზეზი მართლაც რომანის დედის ავადმყოფობაა, ეს ძალიან სამწუხაროა. ვვფიქრებ, რადგან ეროვნული ნაკრებიდან უკვე ბევრი მნიშვნელოვანი ადამიანი წავიდა. ვერც იმიტომ რომ მწვრთნელი — მარსელო ბიელსა და ხოსე პეკერმანი, ახლა რიკელმე...არგენტინულ ფეხბურთში რაღაც რიგზე ვერ არის, ამიტომ, უნდა დავსხდეთ და ისე გავაკეთოთ, რომ ტალანტები აღარ დაგვარგოთ“ — დასძინა კრესპომ.

მოკი კანდელაკი



ბარი ლინეკერი ბარსას აქმებს

ბარი ლინეკერმა თქვა, რომ „ბარსელონა“ წლეულსაც ჩემპიონთა ლიგის უპირველესი ფავორიტია და „ჩელსის“ კვლავაც აჯობებს.

ლინეკერი, რომელსაც „ბარსას“ მაისურით 103-ჯერ უთამაშია და 43 გოლიც გაუტანია, მიიჩნევს, რომ კატალონიელები შემადგენლობითაც ყველას სჯობიან.

„ეს საუკეთესო გუნდია — თქვა გარემ — მათ ცქერას არაფერი სჯობს. ინგლისურ გუნდებს ფინალში გასვლა შეუძლიათ. ვფიქრობ, ამათ შორის „ჩელსი“ ყველაზე შორს წავა, თუნდაც იმიტომ, რომ გრძელი სკამი აქვს და ტრავმებს მოერივეა. თუმცა, თუ რამეს დამტკიცება გინდა, „ბარსელონას“ უნდა მოერიო“.

Table with 2 columns: III ტური დღეს, მატჩები (პალმესია vs ხმთაფი, რასინგო vs ბარსელონა, ოსასუნა vs ხიზნასტიკი, ვილიარეალ vs სელტა, სარაგოსა vs მალიორკა, უელვა vs ლევანტე, რეალი vs სოსიედადი, სევილია vs ბეთისი, ბილბაო vs ატლეტიკო).

კატალონიურმა „ბარსელონამ“ სეზონი მშვენივრად დაიწყო. ევროპის სუპერთასზე სევილიასთან მოულოდნელ მარცხს თუ არ ჩათვლით, ფრანკ რაიკარდის შეგირდებმა ყველა მატჩი მოიგეს დამაჯერებლად და ეფექტურად. „ბარსა“ „რასინგსაც“ სამი ქულისთვის ეწვევა, თანაც წინა სეზონში სანტანდერში ორი ქულა დაკარგა (2:2) და ამის გამოსწორება სწავლია. რაიკარდი ალბათ ისევ როტაციას მიმართავს, რადგან არჩევაინი დიდი აქვს და სურს, თამაშის საშუალება ყველას მისცეს.

ესპანეთი რონალდო სკაუმზე გამოჩნდა

„ბარსელონას“ ლიდერი რონალდინო: „მნიშვნელობა არ აქვს, ვინ როდის არის ძირითად შემადგენლობაში. ჩვენ ყოველთვის ერთი სტილით და ერთუზიაზმით ვთამაშობთ“.

„მთლიანობაში ალბათ უფრო ძლიერები ვართ, ვიდრე შარშან“ — დასძინა კატალონიელთა შემტევემა ნახევარმცველმა ანდრეს ინიესტამ.

„რასინგმა“ კი 2 მარცხით დაიწყო, თან ჯერ გოლიც არ გაუტანია და ქულები სჭირდება. სანტანდერელებს სერბი ახალწვეულის ნიკოლა ჟივიჩის იმედი აქვთ. 2,02 მეტრი სიმაღლის ფორვარდის დებიუტი აქამდე ვერ შედგა, რადგან ეროვნული ნაკრების შეკრებაზე იყო.



ბეტისელი რობერტო დერბისთვის ემზადება

მასპინძლობს. ზუანდუ რამოსის პრობლემა ბრაზილიელი ფორვარდი ლუის ფაბიანოა, რომელმაც ვარჯიშზე მცირე ტრავმა მიიღო და შესაძლოა, ვერ ითამაშოს. ხოლო „ბეტისის“ ასევე ბრაზილიელი თავდამსხმელი

რობერტო უბრუნდება, რომელიც ახლახან მომჯობინდა. სეზონის ასევე ომახიანად დამწყები „ვალენსია“ შინ „ხეტაფეს“ მიიღებს. „დამურებს“ იტალიელი მცველი ემილიანო მორეტი დააკლდა და ვინძლო გამარჯვებაც გაუჭირდეთ, რადგან ბერნად შუსტერის „ხეტაფე“ ჩინებულ ფორმაშია და ჯერჯერობით ასევე უდანაკაროდ მიდის.

კიდევ ერთხელ გალანძული მადრიდის „რეალი“ კი „სანტიაგო ბერნაბეუზე“ „სოსიედადთან“ შეეცდება რეაბილიტაციას. ბოლო ორი თვის მანძილზე გუნდთან ერთად პირველად ივარჯიშა რონალდომ. ბრაზილიელმა მუხლი კი მოიჩინა, მაგრამ შესაძლოა, ფაბიო კაპელომ იგი კიდევ ერთი კვირით შეინახოს, რათა „იკვამ“ ფორმა ბოლომდე აღიდგინოს.

„იმედია, ჩვენი გულშემატყვიარი ყველაფერს გაეებით და მოთმინებით მოეკიდება. ნელ-ნელა ეუმბატებთ და მალე ფორმაშიც შევალთ. ისინი დარწმუნებულნი უნდა იყვნენ, რომ ფაბიო კაპელოს ხელში საქმე კარგად წავა“ — თქვა „სამეფო გუნდის“ ბრაზილიელმა მცველმა სისინიომ.

მოკი კანდელაკი

Large table with 20 columns (teams) and 20 rows (teams), containing match results and statistics. Headers include team names and various numerical values representing goals, points, and other metrics.

Table with 6 columns: Time, ID, Name, 1, X, 2, 1-X, 1-2, X-2. Contains event details for 'იტალია, სერია C1/B' and 'საფრანგეთი, I დივიზიონი'.

Table with 6 columns: Time, ID, Name, 1, X, 2, 1-X, 1-2, X-2. Contains event details for 'პოლანდია, I დივიზიონი', 'პორტუგალია, სუპერლიგა', and 'საბერძნეთი'.

Table with 6 columns: Time, ID, Name, 1, X, 2, 1-X, 1-2, X-2. Contains event details for '17 სექტემბერი', '16 სექტემბერი', and 'ნორვეგია, I დივიზიონი'.



ოლიმპიკოსი ბაიბრიბა გაფრინდაშვილი შიროკში მიფრინავს

ამას წინათ ვნერდით, რომ ახალგაზრდული ნაკრების გამთამაშებელი, 18 წლის გიორგი გაფრინდაშვილი ბერძნულ „ოლიმპიკოსში“ მიდიოდა გასასინჯად. ის ევროპული კემპების ხშირი სტუმარია, სადაც თავი არასდროს შეურცხვენია და მისდამი ინტერესი არ ნელდება — ხან საიდან დაუქნევინ ხელს, ჩამოდი, დაგვენახო და ხან საიდან. პოდა, ამჯერად ბერძნულმა გრანდმა მოინადინა პერსპექტიული ქართველის საქმეში ნახვა და 2 კვირა პირვოსში ისტუმრა კიდეც. გაფრინდაშვილი ვარსკვლავებით სავსე „ოლიმპიკოსთან“ ორი კვირა ვარჯიშობდა და რა შთაბეჭდილება მოახდინა ბერძნებზე, თავად გვიამბობს...



გიორგი გაფრინდაშვილი

რომ დანარჩენებზე გაცილებით უკეთ გამოვიყურებოდი.
— სანამ წაზვიდოდი, თქვი, რომ შეიძლება, „ოლიმპიკოსმა“ გამანათხოვროს, თუ კონკურენციას ვერ გაუძლებო...

— ასეც უნდოდათ ბერძნებს, მაგრამ იმ გუნდმა, რომელიც დაინტერესებული იყო, განათხოვრებით ჩემი აყვანა არ ისურვა. ჩემმა მენეჯერმა ბერძნებს უთხრა, რომ სხვა კლუბში მომაწყობდა, ოღონდ


იმ პირობით, თუ ერთ წელიწადში ისევ „ოლიმპიკოსში“ დავბრუნდები. პოდა, გადაწყდა, რომ ერთი სეზონი სხვაგან ვითამაშებ და თუ სათანადო დონეს მივაღწევ, „ოლიმპიკოსში“ გადავალ.

— და სად უნდა ითამაშო ერთი სეზონი?
— თითქმის ვადაწყვეტილია, რომ კარიერას ბოსნიურ „შტრკ ბრეგში“ გავაგრძელებ. ამ გუნდს ჯერ კიდევ მაშინ სურდა ჩემი შემატება, „ოლიმპიკოში“ რომ ვიყავი. ბოსნიელები ახლაც არიან ჩემით დაინტერესებულნი და კონტრაქტის გაფორმებამდე მივიდა საქმე.
„შტრკის“ სურდა, რომ 4-წლიანი კონტრაქტით ავეყვანე, მაგრამ ეს ჩემს ინტერესებში არ შედიოდა. 1-1 წლიანი ხელშეკრულების გაფორმებაზე მიდიოდა ლაპარაკი და, როგორც ვიცი, ბოსნიელები თანახმანი არიან. ახლა მიმდინარეობს პირობების შეთანხმება — ბინა, ხელფასი და სხვა საყოფაცხოვრებო საკითხებს ავგარებენ. ორ-სამ დღეში ალბათ საბოლოო პასუხი მეცოდინება და ბოსნიელები წავალ. ვფიქრობ, რომ ეს კარგი ვარიანტია ჩემთვის, რადგან „შტრკი“ ბოსნიის ჩემპიონატის პარალელურად ადრიატიკის ლიგაშიც გამოდის და, ცხადია, საქმოს სათამაშო პრაქტიკას დაგავრთვებ.

ირაკლი პერტაია

სერის სერიოზულობანი

რამდენიმე დღის წინ მასაჩუსეტის შტატის პატარა ქალაქ სპრინგფილდში დიდი სტუმრიანობა იყო. იქ, სადაც წინას წინა საუკუნეში ჯეიმს ნეისმიტმა კალათბურთი მოიგონა და ახლა სპორტის ამ სახეობის დიდების დარბაზია, მრავალი ცნობილი ადამიანი ჩავიდა — დარბაზმა ექვს ახალ წევრს გაულო კარი



ჩარლზ ბარკლი განადიდეს

„კი, კალათბურთის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ჩემს ცხოვრებაში, მაგრამ ის ბოლო ადგილზეა მნიშვნელოვან მოვლენებში. მაგალითად, მე ბენიერი ვიყავი, რომ კალათბურთში ნამოყვანა ფულმა საშუალება მომცა, მილიონი დოლარით დავხმარებოდი „კატრინას“ გამოუსახლკაროდ დარჩენილთ. ამაზე მნიშვნელოვანი მე არაფერი გამიკეთებია მოედანზე.“

შემდეგ ის კიდევ ერთხელ გადასწვდა ახალ თაობას — ჩვენი დრო სხვაგვარი იყო, იმიტომ, რომ ჩვენ თვითონ ვიყავით სხვათაგანზე. ჩვენ ყოველთვის მაქსიმალურად ვიზარჯებოდით, განსაკუთრებით ვარჯიშზე, რადგან ვარჯიშის შედეგს ვცნობდით და მიზანი გამოკვეთილი გვქონდა. ერთ რამეს გეტყვი, ჩვენი მთავარი მიზანი ბევრი ფულის კეთება არ იყო, ამიტომაც ისა-

ტება დღეს ასეთი სურათი — ახლანდელ მოთამაშეებს უნდათ, რომ ვარსკვლავები იყვნენ. ჩვენ გვინდოდა, რომ დიდი მოთამაშეები ვყოფილიყავით. ამწევით სხვაობას?“
ბარკლის შემდეგ ლომინიკ უილკინსის ჯერი დადგა. ჯორდანის კიდევ ერთი მტერ-მოყვარის და მისი ეპოქის კიდევ ერთი დიდი კალათბურთელის გამოსვლა გაცილებით მშვიდი იყო, ვიდრე ჩარლზ

ბარკლისა. ლომინიკი მხოლოდ მაშინ აღელდა ოდნავ, როდესაც ის ნბა-ს ყველა დროის ერთ-ერთ უდიდეს ჩამტენად მოიხსენიეს: „მინდა, რომ ხალხს მართლ ჩატენვების ოსტატად არ ვახსოვდე. კარიერაში 26 000 ქულა გავაკეთე, რასაც მართლ ამით ვერ მოიხვეჭ.“
მშვიდი და აუღელვებელი ჯო ლუმარსი ბარკლისგან და უილკინსისგან განსხვავებით, ნბა-ს ჩემპიონის რანგში გახდა დიდების დარბაზის წევრი. ჯო იმ „ცუდ ბიჭულად“ წოდებული „დეტროიტის“ ბიდერთაგანი გახლდათ, რომელმაც 1989 და 90 წლებში მიჯრით იჩემპიონა და მაშინ ყველაზე მშვიდი და წესიერი კაცი იყო იმ გიუბში (იმ გუნდში იყო დენის როდმანიც). ლუმარსი 14 წელი თამაშობდა ნბა-ში და ბოლომდე „დეტროიტის“ ერთგული დარჩა, ხოლო მოთამაშის კარიერა რომ დაასრულა, „პისტონსის“ მთავარ საქმეთმწარმოებლად დაინიშნა და 2004 წელს გაჩემპიონებული გუნდი ააშენა.
დიდრონი ნბა-ელების გარდა, დიდების დარბაზმა წლეულს წევრებად მიიღო კალათბურთის ყოფილი ფუნქციონერი ლეივ გვეტი, კონექტიკუტის უნივერსიტეტის ქალთა გუნდის მწვრთნელი გენო აურემა და იტალიის ნაკრების ყოფილი თავკაცი სანდრო გამბა. ეს უკანასკნელი იტალიური კალათბურთისთვის ისეთივე მასშტაბის ფიგურაა, როგორც საბჭოთა კალათბურთში ცხონებული ალექსანდრ გომელსკი იყო.



დიდების დარბაზის შენამატი: ჩარლზ ბარკლი, გენო აურემია, ჯო ლუმარსი, სანდრო გამბა, ლევივ გვეტი და ლომინიკ უილკინსი

გამბიამ ბავშვობაში კალათბურთის თამაში იმიტომ დაიწყო, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს ავტომატით დაცხრილული ხელების დაკარგული ფუნქციები აღედგინა. დიდი მოთამაშე არასდროს ყოფილა, მაგრამ მწვრთნელობაში კი მართლაც ბევრს მაღწია. სამი ათეული წელი წარმატებით მუშაობდა სხვადასხვა კლუბებში, ხოლო იტალიის ნაკრები 1980-92 წლებში ოთხ ოლიმპიადაზე ათამაშა, 1980 წელს მოსკოვში ფინალშიც გაიყვანა, ხოლო 1983 წელს ევროპის ჩემპიონატი მოაგებინა.

კოტე ყოჩია

ლიდების დარბაზის რეკორტთა შორის გამოირჩეოდნენ ძველი ნბა-ელები — ჩარლზ ბარკლი, ლომინიკ უილკინსი და ჯო ლუმარსი. მათ შორის ყველაზე გრძელი და ომახიანი საზეიმო სიტყვა ჩარლზ ბარკლის გამოუვიდა. სერ ჩარლზმა მოწყალება გაიღო და ახალგაზრდა კალათბურთელებისთვის გასაგონი რჩევა თქვა: „ყველა ამ ახალგაზრდა მოთამაშეს ვუტყვი — ფული, რომელსაც შოულობთ, ბანკში შეიტანეთ. ეს ფული მთელი ცხოვრება უნდა გეყოთ და უაზროდ ნუ ხარჯავთ მანქანებსა და ამგვარ სისულელებში.“
მოკლედ, ბარკლი ბარკლია, ჩვეულებას არ დალატობს. ის არა მარტო ბევრს ლაპარაკობს, არამედ ხმამაღლაც, კვლავაც ისეთი გიროზი მბრძანებელი იყავი აქვს, როგორც 80-90-იან წლების მიუდნებზე ჰქონდა და ისევ მზადაა, ყველას გასცეს პასუხი. თანაც ამ ბოლო წლებში, რაც კალათბურთის თავი დაანება, ბევრი ლაპარაკი ხომ მის საქმიანობადაც იქცა — ერთ სპორტულ ტელეარხზე ნბა-ს თამაშები მიჰყავს, ბოლო დროს კი საუბრის ხელოვნება ისე დახვეწა, რომ მშობლიური ალაბამის შტატში გუბერნატორის პოსტზე აპირებს კენჭისყრას.

თუმც სერ ჩარლზმა ამჯერად თავი შეიკავა პოლიტიკური განცხადებებისა და რესპუბლიკური პარტიის ლანდვისგან. იმპრესარიომ კი მისი საკალათბურთო მიღწევები ჩამოთვალა — 16 წელი ნბა-ში („ფილადელფია“, „ფინიქსი“ და „პიუსტონი“), ბლომად ოლ სტარი, 1992 და 96 წლების მოქროვილი ოლიმპიადები, MWP-ს ტიტულის მომტანი 1992-93 წლების დიდებული სეზონი და იმ სეზონის ბოლოს დაუვიწყარი ფინალი მაიკლ ჯორდანის „ჩიკაგოსთან“. თავისი ეპოქის უგამორჩეულესი მოთამაშე ჩარლზ ბარკლი ხომ ეგრეც ვერ გახდა ნბა-ს ჩემპიონი, თუმც მას აქვთ დიდი ხანი გამოხდა და სერ ჩარლზს ეს ამბავი ისე მწარედ აღარ ხვდება გულზე, როგორც მოედანზე გატარებულ ბობოქარ წლებში.

ბორჯომის თასი. ჰარდი. საპრიზო 10 000 \$

ბორჯომის ბრიგორიანის გადაგორვა



ეკა გორგოძე ნახევარფინალშია

დაახლოებით საათნახევრიანი შეხვედრის განმავლობაში გორგოძემ მხოლოდ ერთხელ ანერვიულა ცენტრალური კორტის ტრიბუნებზე მსხდომი ოცდაათამდე გულშემატკივარი. ეს პირველი სეტის შუაწელში მოხდა. ეკა საკუთარ მოწოდებაზე ზედზედ რამდენჯერმე უმარტივეს სიტუაციაში შეცდა და გეიმიც დათმო, მაგრამ აქვე ვთქვათ, რომ იქამდე სამქულიანი უპირატესობის დაგროვება უკვე მოეწრო. ეს იყო და ეს. გორგოძემ მომენტალურად დაივიწყა დაკარგული ქულა და გამოცდილი ჩოგბურთელის დამახასიათებელი სიდიხით მიიყვანა სეტი სასურველ ბოლომდე.

ნერვებმა მალე გრიგორიანს უმტყუნა. რომ შეატყო, უშეცდომოდ მოთამაშე მეტოქის წინააღმდეგ არაფერი გამოსდოდა, მისი ფსიქოლოგიურად გატეხვა გადაწყვიტა. ყოველი ჩაგდება ბურთის შემდეგ აგრესიული შესტებით და შეძახილებით მიმართავდა, მაგრამ ამ ჩანაფიქრიდანაც არაფერი გამოუვიდა. ის კი არა, პრესტიჟის ქულის აღებაც ვერ შეძლო.

თამაშის შემდეგ გორგოძემ პირდაპირ გვითხრა — „ახლა მხოლოდ ჩემპიონობაზე ვფიქრობ და ეს ოცნება აუცილებლად უნდა ავისრულოვო.“

თასამდე პატარა ქართველს ორი ნაბიჯი რჩება. დღეს ნახევარფინალში რუს ელიზაბეტა ტოჩილოვსკაიას ხვდება. ამ უკანასკნელმა ტურნირის შაფაქიძის მომგები სომეხი ლიუდმილა ნიქოიანი გამოთიშა, უმძირეს სამსუეტან ბრძოლაში. მეორე ფინალისტის ვინაობას კი რუსი ვარვარა გალანინასა და ყაზახი ამინა რახიმის დაპირისპირება გაარკვეს.

მეორე ნომრად განთესილმა გალანინამ გუშინ ბეწვის ხიდზე გაიარა. არადა, ამკარად ჯობდა, ეს ვერ მოეხერხებინა. ნახევარფინალის საგზური სალომე ჩაჩხუნაშვილთან შეხვედრაში მოიპოვა. პირველი სეტი ქართველმა საკმაოდ იოლად — 6:1 მოიგო. მეორეც მშვენივრად დაიწყო, ორქულიანი უპირატესობაც მოიპოვა, მაგრამ მოდუნდა და საქმე ტაიბრეიკამდე მივიდა. ტაიბრეიკაში შვის პირველმა გალანინამ უწია და როგორც ჩანს, ჩაჩხუნაშვილი ამ მომენტში დამარცხდა. გადამწყვეტ სეტში სალომემ მხოლოდ ერთი გეიმის აღება შეძლო.

„ბორჯომის თასი“ ხვალ დასრულდება. ზევიდან კი კორტები კიდევ ერთ 10 ათასი დოლარის საპრიზო ფონდიან ტურნირს, „იან პოპერის თასს“ დაეთმობა.

ოთარ გალაგაელიძე
ნახევარფინალი
დღეს. 12.00
გორგოძე — ტოჩილოვსკაია
რახიმი — გალანინა

ახიაში რა ბინდოდათ? კი აფრთხილებდა უამილი რუსებს

პავლევი
ბუქარესტი. რუმინეთი
თიხნარი. საპრიზო 302 000 €

მეოთხედიანი
პოლ-ანრი მატიო (8, საფრანგეთი) — გილერმო გარსია-ლოპესი (ესპანეთი) 6:3 6:4; იურგან მელნიკი (ავსტრია) — რუბინ რამირეს-იდალგო (6, ესპანეთი) 6:4 6:2; ფლორან სერა (2, საფრანგეთი) — ფლორიან მაიერი (7, გერმანია) 6:3 7:6; ფილიპო პოლანდრი (5, იტალია) — კარლოს მოია (3, ესპანეთი) 6:3 6:3

პავლევი
პეკინი. ჩინეთი. ჰარდი
საპრიზო 475 000 \$

მეოთხედიანი
ჰუნგ-ტაი ლი (8, ს. კორეა) — ივან ლიუბიჩიჩი (1, ხორვატია) 6:3 7:6; მარკო პანინი (4, ხორვატია) — დონიკ პრბატი (5, სლოვაკეთი) 2:6 7:6 6:4; მარკო ბაბლანი (3, კვიპროსი) — დანი უდოჩიკო (ტაილანდი) 6:2 6:3; პარაგრაფი მარკო პანინი (ტაილანდი) — ნიკოლაი დავიდენკო (2, რუსეთი) 6:2 10 (უარი)


ქალები
ბალი. ინდონეზია. ჰარდი
საპრიზო 225 000 \$

მეოთხედიანი
სვიტლანა კუზნეცოვა (1, რუსეთი) — სევერინ ბრემონდი (8, საფრანგეთი) 6:3 6:2; ლინდსი დევენპორტი (3, აშშ) — პანა შრომოვა (ჩეხეთი) 6:1 6:0; მარინა ბარტოლი (6, საფრანგეთი) — ოლგა პოლტკოვა (რუსეთი) 6:2 6:4; პატი შნიდერი (2, შვეიცარია) — მელინდა ჟინვი (უნგრეთი) 6:2 6:2

გუშინდელამდე პეკინში თითქოს ყველაფერი წყნარად და უშფოთველად მიედინებოდა — მაგრამ ჩინეთის დელაქალაქში აზიელი ჩოგნისმქნეველი ადგენენ და ადგილობრივი მაყურებლის ქომაგობით შეგულიანებულებმა, ტურნირის პირველ-მეორე ნომრები დაიფრინეს.

ივან ლიუბიჩიჩმა კი ამ ბოლო დროს არცთუ სასურველი სახელი დაიგდო — აგერ უკვე ზედიზედ მეორე ტურნირია მთავარი სენსაციის ავტორობა ითავა, მაგრამ არა დადებითი, არამედ უარყოფითი კუთხით. უარყოფითი იმიტომ, რომ მისი წაგება ნიუ იორკის დარად, პეკინშიც სენსაციად იქცა.

ასეთ რამეს ვერავინ წარმოიდგენდა — მეტრნახევარს ოდნავ აცი-



ლებული კორეელი ერთ ლუკმად არ უნდა ყოფნოდა ბალკანელს. მაგრამ ლიუბიჩიჩს ეს „ლუკმა“ ყელში გაეჩხირა და ტურნირიდან გააგდო. მისი სახელი პიუნგ-ტაიკ ლია, რომელმაც ამ წარმატებთ ორწლიანი შესვენების შემდეგ პირველად უწია ნახევარფინალს.

ლიუბიჩიჩმა წინა დღეს ჩინეთის დიდი კედელი ინახულა და კვლავაც ადამინის ხელით შექმნილი ამ სიდიადის შთაბეჭდილების ქვეშ იყო, თორემ სხვანაირად ხორვატის ეგეთი უღიმღამო თამაშის ახსნა საკმაოდ ძნელია. ბალკანელმა კორეელის მოწოდებაზე ზომსაერთოდ ვერაფერი გააკეთა, მაგრამ უმთავრესი ისაა, რომ თავისი ზემოქმედება არტილერიაც ვერ ამოქმედდა. ლიუბიჩიჩმა მხოლოდ მეორე სეტის მიწურულს გაიფაფხურა, როცა 5:6-ზე ერთადერთი ბრეიკი გააკეთა და ტაიბრეიკამდე მიიყვანა საქმე. თუმცე აქაც უჯიგროდ იქნა ჩოგანი და პეკინსაც გამოეთხოვა.

„ბოლომდე არ მჯეროდა, რომ მოვიგებდი. დღევანდელი წარმატება იმის ბრალი უფროა, რომ კოველგარი წნეხის გარეშე ვთამაშობდი და ამიტომ თითქმის ყველაფერი გამომდებოდა“ — თქვა ნახევარფინალის კორეელმა.

„ასე რომ ითამაშოს, მისი და-

მარცხება ყველას გაუჭირდება“ — ეს უკვე ლიუბიჩიჩის პოსტმატჩური კომენტარია, რომელიც თავის მართლებას უფრო ჰგავს.

ლის კი წინ კიდევ ერთი ხორვატი, 22 წლის მარია ანჩიჩი ელის, რომელმაც ორთვენახევრიანი ტრავმა მოიშუშა და ახლა განახლებული სიხალისით ჩოგნაობს. ხორვატი თანამემამულის ჯავრის ამოყრას შეეცდებოდა და თუ მოახერხებდა, წლეულს უკვე მეორე ფინალშიც გაინაღლებს ადგილს.

გუშინ დაფიქსირებული მეორე სენსაცია მეორე ნომერი ნიკოლაი დავიენკოს მარცხია. თუმცე ეს რუსის ცუდად თამაშის კი არა, უფრო გადაღლილობის ბრალია. ტყუილად კი არ აფრთხილებდა რუს ჩოგბურთელებს გამოცდილი შამილ ტარპიშვილი, აზიაში ნუ ჩახვალთ, ისედაც გადაქნეულნი ხართ. ალბათ აჯობებდა, კოლიასაც დაეჯერებინა ამ რჩევისთვის, თორემ ათეულობით ათასი კიდლომეტრის ამისთვის გადაფრენა ნამდვილად არ ღირდა. რუსმა ერთი სეტი გაძლო პარადონ შრიჩაპანთან, მეორე კი ხეირიანად დაწყებულიც არ იყო, თამაშის გაგრძელებაზე უარი რომ თქვა.

ძალიან საინტერესო ნახევარფინალის მომსწრენი ვიქნებით ბალიში — ერთმანეთს შარმანდელი და შარმანდელი ტრიუმფატორები, ლინდსი დევენპორტი და სვეტლანა კუზნეცოვა დაეჯახებიან და წესით, მეტად დაძაბული თამაში უნდა გამოდგეს.

კუზნეცოვამ გუშინ ფრანგ ბრემონდს გააღუარა და ეცდებოდა, ამ ინდონეზიურ კუნძულზე მესამედ იზეიმოს ტრიუმფი. რუსი ბალიში წელიწადგამოტოვებით ჩადის ხოლმე და ჯერჯერობით ერთხელად არ დაქარცხებულა. 2002-სა და 2004-ში დაუმარცხებლად იარა და ისე გამოდის, რომ აქ უკვე 11-მატიჩიანი წაუგებელი სერია დაუგროვდა.

დევენპორტი კიდევ უფრო შეუბრალებლად გაუსწორდა პანა შრომოვას. ამერიკელს განსაკუთრებული მოტივაცია აქვს, რადგანაც წელიწადი ისე იღვევა, რომ ჯერ არაფერი მოუგია და ნავსის გატეხვა უნდა.

მეორე ნახევარფინალში კი პატი შნიდერი მარინ ბარტოლისთან გაარკვევს ურთიერთობებს.



ლინდსი დევენპორტი



მერაბ მეტრეველი



ზაზა დოლიძე

საქართველოს ვაჟ ხელბურთელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის ვინაობა ჯერ ოფიციალურად გარკვეულ-ბეჭედდასმული არ არის, თუმცა საკითხი პრაქტიკულად უკვე გადაწყვეტილია.

ლი გუნდის თავკაცობის მხოლოდ ორი პრეტენდენტი იყო — ზაზა დოლიძე და მერაბ მეტრეველი. დოლიძე 2003 წლამდე ხელმძღვანელობდა ნაკრებს, რომელმაც მსოფლიო და ევროპარველობების რამდენიმე შესარჩევ ტურნირში მი-

იღო მონაწილეობა. სწორედ მისი მეთაურობით მიღწეულ ჩვენმა ხელბურთელებმა თვალსაჩინო წარმატებას — 1999 წელს ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი გაიარეს და პლეი ოფში თამაშის უფლება მოიპოვეს. სამწუხაროდ, ფინანსურ-ორგანიზაციული პრობლემების გამო, უკვე მეოთხე წელია, ეროვნული გუნდს ერთი თამაშიც არ ჩაუტარებია.

მეტრეველი წლეულს სათავეში ედგა საქართველოს სტუდენტ ხელბურთელთა ნაკრებს, რომელმაც პოლონეთში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე 13 ქვეყნის წარმომადგენელთა შორის მეორე ადგილი დაიკავა.

ჩვენი ხელბურთის ასოციაცია საბოლოო გადაწყვეტილებას უახლოეს დღეებში კი მიიღებს, მაგრამ უკვე არის წინასწარი შეთანხმება, რომ დოლიძე და მეტრეველი ერთად უხელმძღვანელებენ ეროვნულ ნაკრებს, რომელსაც იანვარში ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირი ელის.

ბია ახალაძე



დიდი გუნდაობა პარიზში

დღეს-ხვალ პარიზი ძიუდოსტთა გუნდურ მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. ტურნირში პლანეტის თექვსმეტი უძლიერესი ნაკრები ჩაებმება, მათ შორის მოქმედი ვიცე-ჩემპიონი საქართველო. გუნდური მსოფლიოს პირველობა ოთხ წელიწადში ერთხელ ტარდება. 2002 წელს შოთა ხაბარელის სამწყსომ მშვენივრად იჭიდავა და მხოლოდ გადამწყვეტ ბრძოლაში დამარცხდა იაპონიასთან.

ძიუდოს სამშობლოს გუნდი ცხადია ახლაც უმთავრესი ფავორიტია, მასპინძელ საფრანგეთთან, რუსეთთან და საქართველოსთან ერთად. პარიზში ჩვენი გუნდი გუმინ დილით ამ შემაღენლობით ჩავიდა: 61კგ — ნესტორ ხერგანი და ვახტანგ ხოსიტაშვილი, 66კგ — ზაზა კუდელაშვილი, 73კგ — დავით ქევიციანი, 81კგ — გრიგოლ მამრიკიშვილი და გიორგი ბაინდურაშვილი, 90კგ — ირაკლი ცირეკიძე, 100კგ — გიორგი ყიზილაშვილი, +100კგ — ლაშა გუჯავაძე და ზვიად ხანჯალიშვილი.

ვალერიკოლა

კავკასია ერთ თასში ჩაებტია

სოჭში გამართულ მძლეოსანთა საერთაშორისო შეხვედრაში, რომელშიც 1989 წელსა და შემდგომ დაბადებულმა მძლეოსნებმა „კავკასიის თასი“ გაითამაშეს, საქართველოს წარმომადგენლებმა, როგორც ვიუწყებოდით, ოთხი ოქროს და ექვსი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს, გუნდურ პირველობაში კი რუსეთის მერე მეორე ადგილი დაიკავეს. ამასთან დაკავშირებით ვესაუბრეთ საქართველოს მძლეოსანთა მთავარ მწვრთნელსა და გუნდის ხელმძღვანელ ბიორბი ბედოშვილს

— „კავკასიის თასის“ გათამაშება პირველად გაიმართა და საინტერესოა, როგორი შთაბეჭდილება დატოვა ამ შეჯიბრებამ?

— ამიერკავკასიის თასის გათამაშებებს თბილისში ვმასპინძლობდით, რომელშიც მოლოდინები მძლეოსნებიც მონაწილეობდნენ. შარშან საქართველოს მხარის ინიციატივით გადაწყდა, ამ შეჯიბრების მასშტაბების გაზრდა და მასში საერთოდ კავკასიის ორთავ მხარის წარმომადგენელთა გამოხვევა. ამასთან, შეჯიბრებაში აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთისა და რუსეთის გარდა თურქები და ისრაელელი სპორტსმენებიც მიიწვიეს, თუმცა ეს უკანასკნელი ამჯერად სოჭში არ ჩამოსულან.

ასე იყო თუ ისე, შეჯიბრებამ კარგი შთაბეჭდილება დატოვა და იგი მომავალში ევროპის მძლეოსნობის ფედერაციის ოფიციალური სპორტული შეჯიბრების კალენდარშიც თავის ადგილს დაიმკვიდრებს. ამასთან, განმარტებული „კავკასიის თასის“ გათამაშების მასშტაბების უფრო გაზრდა, რომელშიც მომავალში ისრაელისა და ირანის მძლეოსნებიც გამოვლენ.

— რამდენადაც ვიცით, საქართველოს მძლეოსანთა ხელმძღვანელობა ამ შეჯიბრების თბილისში მასპინძლობაზე ფიქრობს.

— დიახ, ჩვენ ამის დიდი სურვილი გვაქვს და ამის შესახებ სოჭში ჩამოსული დელეგაციების წარმომადგენლებს ვესაუბრეთ, რომლებიც ამ იდეით ძალიან დაინტერესდნენ, მათ შორის რუსებიც, რომლებთანაც პოლიტიკოსებისგან განსხვავებით, ძალიან კარგი და მეგობრული ურთიერთობა გვაქვს. ვფიქრობ, ჩვენს წინადადებას ყველანი მხარს დაუჭირენ. ოღონდ შეჯიბრების სამასპინძლოდ ეროვნული სტადიონის სათადარიგო სარბიელის მოწყობა აუცილებელია, ძირითადად სატყორცი დისციპლინების წარმომადგენლებისთვის.

— ამჟამინდელი შეჯიბრების პროგრამა როგორი იყო?

— პროგრამაში 20 დისციპლინა იყო, თითოეულ ნაკრებს თითო დისციპლინაში თითო სპორტსმენი გამოჰყავდა, თუმცა გუნდურ ჩათვლაში ყველას მარტინგელი არ შედიოდა. თითოეული გუნდი სამი-სოდე შერჩევით 12 საუკეთესო ადგილს წარადგენდა.

სამწუხაროდ, შეჯიბრების პროგრამაში არ იყო უროს ტყორცნა, სადაც ჩვენ წარმატების შანსი გვექნებოდა. ამის იმედი სხვა გუნდებსაც ჰქონდათ და, ეტყობა, „კავკასიის თასის“ პროგრამა ამ დისციპლინით უთუოდ გამდიდრდება.

სხვათა შორის, სოჭში პარალელურად რუსეთის მძლეოსანთა შეჯიბრებაც მიმდინარეობდა, რომელშიც უფროსები მონაწილეობდნენ. მის პროგრამაში ერთი მეტად საინტერესო სიახლე იყო — 110 მეტრზე თარჯებენში ესტაფეტა. მსგავსი რამ აქამდე არც მინასავს და არც მსმენია. თარჯები 110 მეტრზე იყო ჩამწკრივებული და თითო გუნდის წევრები ერთდროულად ორ ბილიკს იკავებდნენ. ერთი სპორტსმენი რომ დისტანციას ამთავრებდა, მერე ესტაფეტის მიღებისთანავე უკან მეორე ბილიკზე მიბრუნდა. როგორც მასპინძლებმა გვიხიზრეს, ამგვარი შეჯიბრებებზე თარჯმობრებლების ოსტატობას უფრო აამაღლებს და ამ დისციპლინის მიმდევართა რაოდენობის გაზრდასაც შეუწყობს ხელს.

— სოჭი 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის ერთ-ერთი კანდიდატია. ეს რაიმე სახით ზომ არ ასახულა „კავკასიის თასის“ გათამაშებაზე?

— რა თქმა უნდა, „კავკასიის თასის“ გათამაშება მასპინძლებმა „სოჭი 2014“-ის მხარდასაჭერადაც გამოიყენეს და იგი საერთაშორისო კავშირების განსამტკიცებლადც მიმართეს. ამასთან, ჩვენი შეჯიბრების მონაწილეთა სამკერდე ნომრები „სოჭი — 2014“-ის ლოგოტიპსაც შეიცავდა. მასპინძლებმა ამავე ლოგოტიპით დამუშავებული მაისურები გადასცეს თითოეული გუნდის კაპიტანს, რომლებიც ამგვარად შემოსილნი მიუძღოდნენ წინ თავიანთ დელეგაციებს შეჯიბრების საზეიმო გახსნაზე.

ავთანდილ ხვიციანი

61-ე ვალტა 26 აპრილი-17 მაისი 2014

ალექსანდრ ვინოკუროვი ვალტას მკურნალობაზე. მკურნალობა და მე-18-ზე უსაშველოდ ჩამორჩენილმა ალექსანდრ ვალვერდემ პარასკევსაც ვერაფერი გააწყობა. ხუნიდან სიუდად რეალამდე გადაჭიმულ 205 კილომეტრზე ისეთი მთები არ წამოშორდებიან, ესპანელთა ჯილბას გაქცევა რომ ეცადა და ამ მთებს მოეფარებოდა. და მერეც, ალექსანდრ ვინოკუროვი და მისმა თანაგუნდ-თანამემამულე ანდრეი კაშჩენკინმა აშკარად დაზარეს ესპანელი, რომელსაც აშკარად ვერ უმაგრებენ ზურგს თანაგუნდელები და სერიოზულ მთებზე ვალვერდე ფაქტობრივად საკუთარი ფეხების ამარა რჩება.

მაგრამ, როგორც ვითხარით, ამ ეტაპზე მთები არ აძნელებდნენ გზას და ვალვერდეს არც უცდია გაქცევა. ვინოკუროვის „ასტანა“ კი ერთთავად პელოტონის თავში იდგა და რბოლის რიტმსაც კარნახობდა. ეგაა, „ასტანამ“ წინ მაინც გაუშვა რამდენიმეკაციანი კრებული და არ გამოდევნებია, რაკი ვაქცეულელებში უშუალო კონკურენტი არავინ არაა. ამ ვაქცეულეთაგან ერთ-ერთმა, ესპანელმა ხოსე ლუის პრიეტამ მოიგო ეტაპი, რომელიც მისთვის მეორე გამოდგა ვულტაზე.

Table with 2 columns: Name and Time/Score. Includes names like Alexey Lutsenko, Dmitry Fofanov, Davit Losli, etc.

სარბიელი სპორტული ბაზა. ბაზისი 1990 წლის 28 დეკემბერიდან. ბაზისი ორბაზათს, საგაბათს, ოთხბაზათს, ხუთბაზათს, პარასკეპს და შაბათს.

გამომცემელი ზურაბ ზონცხვიანი. დირექტორი ბიორბი ოპროშვილი. მთავარი რედაქტორი თამაზ მიხრიაშვილი. პასუხისმგებელი რედაქტორი პაპა შალვაშვილი. ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბაშვილი. ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი. უცხოური ფეხბურთის რედაქცია: ვანა ხუციშვილი. უცხოური ფეხბურთის რედაქცია: ვიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანიანი, გიორგი ვაშაყიძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზახის ბაზარი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29. ელექტრონული ფოსტა: sarbieli@gol.ge. ელექტრონული ვებგვერდი: http://www.sarbieli.com.ge